საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბუხაიძე ლაშარ (რეზო) სოლომონის ძე

ბუხაიძე ლაშარ (რეზო) სოლომონის ძე (დ. 16. XI. 1931, თბილისი), მოქანდაკე. საქართვ. დამს. მხატვარი (1986).

დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1963). ნ. კანდელაკის, ვ. თოფურიძის, ს. ქობულაძის მოწაფე. 1976-იდან იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. მუშაობდა დაზგურ ქანდაკებაში.

ბ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ფორმის კარგი გრძნობა, უშუალობა, პოეტური განწყობილება. 1964-იდან მონაწილეობდა მხატვართა საერთაშ. (რუსეთი, იტალია, საფრანგეთი, გფრ, იაპონია, ბელგია) გამოფენებში. ნამუშევრები: „ლახტი“ (1979), „შემოდგომა“ (1981), „გაზაფხული“ (1985), „მწყემსი“ (1987; ყველა ბრინჯაო, საქართვ. სურათების გალერეა, თბილისი) და სხვ.